



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

№ 80

13 09 2017 წელი

**მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 სექტემბრის სხდომის N16 ოქმის მე-10 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 1 სექტემბრის N03/10508 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 აგვისტოს N3686-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელს 2 წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, იჯარით გადასცეს ა.ა.აი.პ. „ახალგაზრდა არქეოლოგთა კავშირი“-ს წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეგლიარში მდებარე 2003 კვ.მ. სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N83.09.01.967) მარნეულის მუნიციპალიტეტში არქეოლოგიის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი